საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ყოველნაირად განამტკიცეთ სოციალისტური შრომის დისციპლინა! სრული შეძლებით გამოიყენეთ ყოველი სამუშაო წუთი!
სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 204 (7515)

25 ოქტომბერი, სამშაბათი. 1983 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



საქართველოს ჩემპიონატი წყალბურთში

● ძალოსნობა

ЧЕМПИОНАТ МИРА И ЕВРОПЫ
ТЯЖЕЛАЯ АТЛЕТИКА
83

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი

## რეკორდებით დაიწყო

მოსკოვის სპორტის სასახლე „იზმაილოვოში" მეორედ შეიკრიბნენ მსოფლიოს უძლიერესი ძალოსნები. პირველად ეს იყო XXII ოლიმპიური თამაშების დროს, მეორედ კი შაბათს დაწყებულ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე.

ასპარეზობა გახსნეს ყველაზე მსუბუქი წონის ათლეტებმა — 52 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ძალოსნებმა. მსოფლიო რეკორდი დაამყარა 19 წლის ბულგარელმა სპორტსმენმა ნ. ტერზიისკიმ. მან ჯერ 145,5 კგ, ხოლო დამატებით ცდაზე 150 კგ აჰკრა. ორჭიდში მისი მაჩვენებელი 260 კგ-ს უდრის, რაც 5 კილოგრამით სჯობს მისივე მსოფლიო რეკორდს.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს პოლონელებმა ი. გუტოვსკიმ — 250 კგ და მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა ს. ლელეტკომ — 247,5 კგ. ამ წონაში საბჭოთა ძალოსნები არ ასპარეზობდნენ. სამაგიეროდ, 60 კგ წონის ათლეტებში ტოლი არ ჰყავდა საბჭოთა ძალოსანს, 22 წლის ერევნელ ო. მირზოიანს. მან ორჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები. — აკვრაში 165 კგ აჩვენა, ხოლო ორჭიდში 292,5 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გავიდა ბულგარელი ჭაბუკი ძალოსანი ნ. სულეიმანოვი, რომელიც გამარჯვებულს 2,5 კგ-ით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა გდრ-ის სპორტსმენს ა. ლეტცს — 280 კგ.

# 5 გუნდის მონაწილეობით

ფიზკულტურა და სპორტი არა მარტო აახალგაზრდავებს ადამიანს, არამედ თვითონაც ახალგაზრდავდება. სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ სპორტის ზოგიერთი სახეობა მთლიანად მოზარდებმა დაიპყრეს. აქსელერაციის ეს პროცესი წყალბურთში ასე მკვეთრად დღემდე არ შეიმჩნეოდა, მაგრამ ახლახან სოხუმში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ამის შესანიშნავი მაგალითი ვიხილეთ: აქ მხოლოდ ერთი გუნდი, თბილისის „ბურევესტნიკი" იყო დაკომპლექტებული „პასპორტიანი" წყალბურთელებით, დანარჩენ გუნდში კი მხოლოდ მოსწავლეები ასპარეზობდნენ.

სოხუმის დოსააფის საწყლოსნო აუზში სულ 5 (?!) გუნდი გამოდიოდა: თბილისის „ბურევესტნიკი", რუსთავის „განთიადი", სოხუმის „დინამო" და ქუთაისის განათლების განყოფილების ნაკრები. მეხუთე მონაწილე თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სკოლის გუნდი გახლდათ. როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებმა გვითხრეს, ეს გუნდი დაუშვეს იმის გამო, რომ ბათუმისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივებმა უარი განაცხადეს ჩემპიონატში მონაწილეობაზე. თბილისელებმა დაუსაბუთებელი მიზეზით, ხოლო აჭარელმა წყალბურთელებმა (დებულებით მათ ორი გუნდის გამოყვანის უფლება მისცეს) საქართველოს სპორტკომიტეტს აუწყეს, რომ შეჯიბრებაზე ვერ გამოვიდოდნენ, რადგან არც წყალი აქვთ აუზში და არც მწვრთნელი ჰყავთ(?!).

ამ შეჯიბრებაზე შედგა რუსთავის „განთიადის" წყალბურთელთა დებიუტი. მართალია, მათ ყველა შეხვედრა წააგეს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გუნდი უკვე ჰყავთ რუსთაველებს. სულ რაღაც ერთი წელია, რაც მეტალურგთა ქალაქში თბილისის „დინამოს" ყოფილი წყალბურთელის ნოდარ კურტანიძის ინიციატივით დაიწყო ვარჯიში წყალბურთის სექციამ, რომელსაც ცურვის სპეციალისტი აკაკი თავდიშვილი უდგას სათავეში...

შეჯიბრების პირველივე დღემ გვიჩვენა, რომ ჩემპიონი თბილისის გუნდებს შორის შეხვედრაში გამოვლინდებოდა, რადგან მათ იოლად დაამარცხეს მეტოქეები. განსაკუთრებით კარგად, ტექნიკურად თამაშობდა განათლების სამინისტროს სამმართველოს კოლექტივი. მან დიდი ანგარიშით (28:8) დაამარცხა რუსთავის „განთიადი", მოუგო მასპინძლებს — 17:4 და შედარებით ძნელ ბრძოლაში დაამარცხა ქუთაისელები — 10:6. მათ წინაამდეგ (რაკი საღამოს ძირითად კონკურენტს „ბურევესტნიკს" უნდა შეხვედროდნენ) მწვრთნელებმა სოსო მაისურაძემ და ბორის მეგედმა, ძალების დაზოგვის მიზნით, თავდაპირველად მეორე შემადგენლობა გამოიყვანეს, მაგრამ მათთვის მოულოდნელად თამაში თანაბრად წარიმართა. ერთ მომენტში ქუთათურებმა ანგარიში მინიმუმამდე (6:7) შეამცირეს და გუნდის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ბრძოლაში დამკვრელი ძალა ჩაერთო...

როგორც ჩანს, ქუთაისელებთან ძნელმა მატჩმა თბილისელი მოსწავლეები გადაღალა და სტუდენტებთან შეხვედრაში დიდხანს დარჩნენ მდევრის როლში. უფროსებმა პირველი და მეორე პერიოდი ორი ბურთის სხვაობით მოიგეს, მესამე და მეოთხე პერიოდში კი როლები შეიცვალა: უმცროსებს „მეორე სუნთქვა" გაეხსნათ — ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შეხვედრის მიწურულს ორი ბურთით დაწინაურდნენ, გაიმარჯვეს — 6:4 და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს. III ადგილი 4 ქულით ქუთაისელმა წყალბურთელებმა დაიკავეს.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩემპიონების უფროსმა მწვრთნელმა **სოსო მაისურაძემ** გვითხრა:

— ნოემბრის პირველ რიცხვებში მოსკოვში დაიწყება საკავშირო ფინალური ასპარეზობა წყალბურთში ქვეყნის 8 უძლიერეს ჭაბუკთა კოლექტივს შორის. აქაც, როგორც ფინალური საგზურის მოპოვებამდე, თბილისელ მოსწავლეებს ორი-სამი წლით უფროს მეტოქეებთან მოუწევთ ბრძოლა. რესპუბლიკის ჩემპიონატამდე გუნდი ფიზიკურად უკვე მომზადებული იყო და ტაქტიკურ ელემენტებს ამუშავებდა. შეჯიბრებამდე დარჩენილი დრო ისე დავგეგმეთ, რომ გუნდმა საუკეთესო ფორმას სწორედ მოსკოვში მიაღწიოს...

ახლა მოვუსმინოთ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარ მწვრთნელს წყალბურთში **ვლადიმერ ბარნაბიშვილს**:

— დღეს საქართველოს წყალბურთში ბევრი რამაა მოსაგვარებელი. ამაში დაგვარწმუნა წლევანდელმა ჩემპიონატმა, რომლისთვისაც უფრო უპრიანი იქნებოდა მოსწავლეთა პირველობა გვეწოდებინა. წარსულში ანალოგიური შეჯიბრებები უფრო წარმომადგენლობითი იყო — გამოდიოდა უმაღლესი ლიგის ორი მკვიდრი: თბილისის „დინამო" და „ბურევესტნიკი". ჩემპიონატი ხშირად საწვრთნელი გაკვეთილი იყო პერიფერიის გუნდებისათვის. რატომ დავთმეთ პოზიციები? ამის მთავარი მიზეზია ის, რომ მოზარდი, რომელიც ოსტატთა გუნდში ვერ მოხვდება ან ისეთ უმაღლეს სასწავლებელში არ შედის, სადაც წყალბურთს თამაშობენ, წყალბურთისთვის იკარგება. მოსწავლეთა უმრავლესობა, რომელიც საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ვარჯიშობს, ასე ვთქვათ, ზედმეტი ხდება სპორტისათვის. არადა, ხშირად ეგრეთწოდებული „საშუალო სპორტსმენი" სწორედ ამ ასაკიდან იწყებს ძალის მოკრებას, პოტენციური შესაძლებლობის გამოვლენას, ის კი ამ დროს „თამაშგარე" მდგომარეობაშია.

ჯ. კასრაძე.

* * *

**სურათებზე:** მწვრთნელები სოსო მაისურაძე და ბორის მეგედი ამხნევებენ აღსაზრდელებს; თამაშის მომენტები.

ავტორის ფოტოები.





● კრივი

## მედლები განაწილდა

იტალიის დედაქალაქში, „პალაცო დელა სპორტის" რინგზე დამთავრდა მსოფლიოს თასის მესამე გათამაშების შეხვედრები. ფინალურ ბრძოლებში საბჭოთა სპორტსმენებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვეს. თავიანთ წონით კატეგორიებში უძლიერესნი იყვნენ ჩებოქსარელი ვ. ლაპტევი (71 კგ), ლვოველი ვ. კაჩანოვსკი (81) და დონეცკელი ა. იაგუბკინი (91).

ყარაგანდელ ბ. ესკანოვსა (48 კგ) და ს. ნურკაზოვს (57) ვერცხლის, ხოლო კუიბიშეველ ვ. შიშოვსა (63,5) და კუსტანაიელ ა. მიროშნიჩენკოს (91 კგ-ს ზევით) ბრინჯაოს ჯილდოები აქვთ.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს ჩრდილო ამერიკის მოკრივეებმა (4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი).

მეორე ადგილზე მასპინძლები — იტალიელი სპორტსმენები გავიდნენ (3 „ოქრო", 2 „ვერცხლი"), მესამე ადგილი წილად ხვდა ევროპის პირველ ნაკრებს, რომლის ღირსებას 7 საბჭოთა მოკრივე იცავდა. ევროპის მეორე ნაკრები (მის შემადგენლობაში სსრ კავშირის 3 სპორტსმენი გამოდიოდა) მეხუთე ადგილზეა. მას აზიის გუნდმა გაუსწრო.

## ბუდაპეშტის სარბიელზე

სპორტულ ტანმოვარჯიშეთა XXII მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც სტარტს აიღებს სპორტის სასახლე „ბუდაპეშტში", ჩვენ მოველით არა მარტო მაღალ შედეგებს, არამედ ახალ სახელებსაც, ვისითაც ბოლო წლებში ასე გამდიდრდა ჩვენი სპორტის სახეობა, — განაცხადა ტურნირის დაწყების წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის (ფიჟ) პრეზიდენტმა იური ტიტოვმა, — ახლა ვერც ერთი სპეციალისტი ვერ შეძლებს გადაჭრით დაასახელოს მომავალ პრიზიორთა სახელები, ვინაიდან ყველა ქვეყანაში ამაღლდა სპორტსმენთა მომზადების დონე. ბოლო დროს ფიჟ-ის წარმომადგენლები დაისწრნენ ათობით დიდ შეჯიბრებას და დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ სპორტის ეს რთული და ლამაზი სახეობა მსოფლიოს ყველა კუთხეში პოპულარული გახდა.

საინტერესო ტანმოვარჯიშეები გამოჩნდნენ ინდოეთში, მაროკოში, ესპანეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში. ჩვენ, სპეციალისტებს, გვიყვარს პროგნოზების გაკეთება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლა ბუდაპეშტში გაიმარჯვებენ უნივერსალური ტანმოვარჯიშეები, რომლებიც უმაღლესი დონის ტანვარჯიშს აჩვენებენ. ამჟამად, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ტანვარჯიშში ბევრი ნიჭიერი სპორტსმენია, რომელთაგან კარგ შედეგებს მოველით.

ბუდაპეშტის სპორტის სასახლეში 41 ქვეყნის 400-ზე მეტი ტანმოვარჯიშე გამოვა — მათ შორის ათობით მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიო თასის გამარჯვებული.

მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონთა სახელები ცნობილი გახდება 28-29 ოქტომბერს (ვაჟთა და ქალთა შორის შესაბამისად), მომდევნო დღეს კი მონაწილეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში.

საქინფორმი.

ავთანდილ ციგაძე

# სპორტის საგალობელი

**1912 წლის** ზაფხული იდგა. სტოკჰოლმი V ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს მასპინძლობდა. ერთ დღეს გაზეთებმა, ოლიმპიადის შეჯიბრებათა ანგარიშებთან ერთად მკითხველს რამდენადმე უჩვეულო ცნობა მიაწოდეს: ოლიმპიადის კულტურულ პროგრამაში გამარჯვებისათვის ოქროს მედალი გადაეცა გ. ხოხროდს და მ. ეშბახს, რომლებიც მონაწილეობდნენ საოლიმპიადო ლიტერატურულ კონკურსში და წარმოადგინეს უბრწყინვალესი ლექსი — „ოდა სპორტს". „ბატონ ხოხროდს და ეშბახს სურდათ გამოეხატათ აზრი, რომ ოლიმპიური ლიტერატურის მისია სწორედ იმაში გამოიხატება, რომ სილამაზის კულტის დახმარებით ერთმანეთს დააახლოოს ხალხები" — ასკვნიდა ჟიური; მაგრამ გახსნეს საცნობარო კონვერტი და აღმოჩნდა, რომ ხოხროდი და ეშბახი განახლებული ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის პიერ დე კუბერტენის ფსევდონიმი ყოფილა.

„ოდა სპორტს" უმალ აიტაცა ხალხმა, მსოფლიოს პროგრესულმა სპორტულმა მოძრაობამ და მალე იგი სპორტისა და ოლიმპიური თამაშების საგალობლად იქცა.

ამ მცირე შესავლის შემდეგ გვინდა „ლელოს" მკითხველებს ვაუწყოთ, თუ რატომ მოვისურვეთ დღეს ამ შესანიშნავი ქმნილების ჩვენეული თარგმანის გამოქვეყნება.

მიზეზი ბევრია, მაგრამ სამი მათგანი მაინც განსაკუთრებულია.

ჯერ ერთი, შეგვაძრწუნა კალიფორნიის შტატის კანონმდებელთა გადაწყვეტილებამ, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებს უკრძალავს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაში მონაწილეობას. უცხოეთის პრესის ცნობების თანახმად, ეს წინდაუხედავი გადაწყვეტილება მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ. მართალია, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება, როგორც ამერიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, „უკვე საშიშროებას უქმნის ოლიმპიური თამაშების ბედს". ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მწვრთნელები, კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით კალიფორნიის კანონმდებელთა კრების რეზოლუციას. ასეთი რეზოლუციისათვის ხმის მიცემა შეეძლოთ მხოლოდ სპორტისგან შორს მდგომ ადამიანებს... ჩვენთვის ძვირფასია სპორტი, ოლიმპიური მოძრაობის ერთიანობა. ჩვენ ვთვლით, რომ ოლიმპიური თამაშები საბჭოთა სპორტსმენების გარეშე — ეს უკვე ოლიმპიური თამაშები აღარ იქნება", — განაცხადეს კიევში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ამერიკელებმა.

ჯერ იყო და, 1980 წელს მსოფლიოს სპორტული სამყარო (და არა მარტო სპორტული სამყარო) აღაშფოთა ყოფილი პრეზიდენტის კარტერის ბოიკოტმა, რაც მან მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს გამოუცხადა; ახლა კი, როგორც ჩანს, რეიგანის თანხმობითა და წაქეზებით ისევ იწყება მსგავსი მოძრაობა, რაც პირველ რიგში მსოფლიოს სპორტსმენთა ერთიანობის, ოლიმპიზმის იდეების დაცემასა და დაქუცმაცებას გამოიწვევს. აი, ასეთ დროს საჭიროდ ჩავთვალეთ ჩვენი მკითხველისთვის გაგვეცნო კუბერტენის შესანიშნავი ნაწარმოები, რათა კიდევ ერთხელ გახდეს ნათელი, თუ ამერიკის ხელისუფალნი რა უმაღლესი სოციალური და კულტურული მოვლენის წინააღმდეგ აპირებენ იარაღის აღმართვას.

მეორეც: წლეულს 120 წელი შესრულდა პიერ დე კუბერტენის დაბადებიდან. იგი 1863 წელს დაიბადა პარიზში და გარდაიცვალა 1937 წელს ჟენევაში. კუბერტენის ანდერძის თანახმად მისი გული დამარხეს ძველ ოლიმპიაში, რომლის პირმშო თამაშების აღდგენასა და განვითარებას შესწირა მან მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე. ისტორიის, ფილოლოგიის, სოციოლოგიის სპეციალისტმა, დიდმა პედაგოგმა, ბარონმა პიერ დე კუბერტენმა 1894 წელს შექმნა ოლიმპიური კომიტეტი და 1925 წლამდე ხანგამოშვებით სათავეში ედგა მას.

და კიდევ: დღეს, როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია ბრძოლა იმისათვის, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი ყველა ოჯახის, თითოეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრების თანამგზავრად იქცეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მიუხედავად, ბევრი გაურბის მას, პირველ რიგში იმიტომ, რომ კარგად არ იცის რა სიკეთეზე ამბობს უარს. ვინც კუბერტენის ამ ქმნილებას გაეცნობა, შეუძლებელია, არ ჩაუფიქრდეს თავის მოქმედებას და კიდევ ერთხელ არ გადასინჯოს აღებული მცდარი კურსი.

## ოდა სპორტს

### I. ო, სპორტო! სიამოვნება ხარ შენ!

**შენ ხარ ცხოვრების ერთგული, ულალატო თანამგზავრი.**

**ჩვენს სულსა და სხეულს შენ უხვად ახაჩუქრებ სიცოცხლის სიხარულით.**

**შენ უკვდავი ხარ.**

**შენ ცოცხლობ დღესაც, საუკუნეებში ჩაკარგული ოლიმპიადების დაღუპვის შემდეგ.**

**შენა ხარ მოზეიმე მახარობელი ადამიანთა გაზაფხულისა, გაზაფხულისა, როდესაც აღმოცენდა აზრისა და ძალის ჰარმონიით გამოწვეული აღტაცება.**

**შენ ამანათივით გადმოგვცემ წინაპართა ამ მემკვიდრეობას.**

**დრო მიჰქრის. ცხოვრება ზეიმობს. შენ ცოცხლობ, დროს დაუმორჩილებელო სპორტო!**

### II. ო, სპორტო! ხუროთმოძღვარი ხარ შენ!

**შენ ხელს უწყობ ბუნების უსრულყოფილესი ქმნილების — ადამიანის პროპორციების გამოძეწნას, ადამიანისა, რომელიც ზეიმობს გამარჯვებისას და მწუხარებს დამარცხების ჟამს.**

**შენ — ჰარმონიის ოსტატი ხარ.**

**შენ გვქმნი ძლიერებს, მარჯვეთ, მოხდენილთ, ასწორებ ჩვენს თანდაყოლილ ხინჯს.**

**შენ გამორჩეული, უჩვეულო ხუროთმოძღვარი ხარ. შენი საშენი მასალა — ადამიანი და მოძრაობაა.**

**შენ დაამტკიცე, რომ მარადიული მოძრაობა — არ არის ოცნება, უტოპია. იგი არსებობს.**

**სპორტი — ეს მარადიული მოძრაობაა.**

### III. ო, სპორტო! სამართლიანობა ხარ შენ!

**შენ მიგვანიშნებ სწორ, პატიოსან გზას, რომელსაც ეძებენ ადამიანები ცხოვრებაში დასახული მიზნის განხორციელებისათვის.**

**შენ — მიუკერძოებელი ხარ.**

**შენ გვასწავლი, რომ შეჯიბრების წესი კანონია.**

**შენ მოითხოვ: „არცერთმა სპორტსმენმა, რომელიც ასრულებს ვარჯიშს მაყურებლებისა და მსაჯების წინ, არ უნდა დაარღვიოს ეს წესები".**

**შენ ადგენ საზღვარს სპორტის სახეობებს შორის. არ არსებობს შენზე უფრო მომთხოვნი და მკაცრი მსაჯი.**

**შეურყეველია შენი მოთხოვნა ჭეშმარიტი წარმატების სამართლიანი შეფასების შესახებ.**

### IV. ო, სპორტო! გამოწვევა ხარ შენ!

**შენ ჭიდილს მოითხოვ. ჩვენი კუნთების მთელი ძალა თავმოყრილია აფეთქების ხადარ ერთ ხიტყვა — სპორტში.**

**შენ — ტრუბადური ხარ.**

**შენი მხურვალე, ამაღელვებელი მოწოდება გამოძახილს პოულობს ჩვენს გულებში.**

**შენ ეკითხები სტარტზე გამოსულთ: რად გინდა ძალა, გამოცდილება და სიმარჯვე, თუ გამარჯვების ფინიშზე არ იოცნებებ.**

**შენ ამტკიცებ — საჭიროა ოცნება. საჭიროა გამბედაობა. საჭიროა შემართება.**

**შენ გვარწმუნებ, მოითხოვ, გვიბრძანებ. შენ მოუხმობ ადამიანებს გაეჯიბრონ ერთმანეთს, სძლიონ საკუთარ თავს.**

### V. ო, სპორტო! კეთილშობილება ხარ შენ!

**შენ გვირგვინით მხოლოდ მას ამკობ, ვინც გამარჯვებისთვის იბრძოდა პატიოსნად, გულახდილად, უანგაროდ.**

**შენ — უმწიკვლო ხარ.**

**შენ მოითხოვ უმაღლეს ზნეობრიობას, სამართლიანობას, მორალურ სიწმინდეს, მოუსყიდველობას.**

**შენ საჯაროდ აცხადებ: თუ ვინმე მიაღწევს მიზანს ამხანაგების შეცდომაში შეყვანით, დაკარგავს სინდისს და მოიპოვებს დიდებას სულმდაბლური, უპატიოსნო ხერხებით, დაიმსახურებს სამარცხვინო ეპითეტს, რაც განუყოფელი იქნება მისი სახელისაგან.**

**შენ აგებ სტადიონებს — ამ უფარდო თეატრებს. ყველა ჭვრეტს ყველაფერს. არავითარი კულისებისმიღმა ჭიდილი.**

**შენ ამოტვიფრე შენი ბედის წიგნზე: „სამმაგად ტკბილია გამარჯვება, კეთილშობილ, პატიოსან ბრძოლაში მოპოვებული".**

### VI. ო, სპორტო! სიხარული ხარ შენ!

**შენ აწყობ დღესასწაულს მათთვის, ვისაც ჭიდილი სწყურია და მათთვისაც, ვისაც სწყურია ამ ჭიდილით გამოწვეული სიამოვნება.**

**შენ— ლხენა ხარ.**

**შენ აჩქროლებ სისხლს. გულს აიძულებ უფრო სწრაფად ძგერდეს, რა სასიხარულო და რა საამოა შენს დაძახილზე გამოხმაურება.**

**შენ უფრო შორს სწევ ჰორიზონტებს. ანათებ შორეთებს. აიმედებ სტარტზე მდგომთ, რომ ახლოა ფინიში.**

**შენ კურნავ სულის იარებს. წუხილი და ჭმუნვა-ნაღველი ერთი კაცისა უკან იხევს იმ წუთებში, როცა საჭირო ხდება ყველაფრის ძლევა მრავალთა თვალწინ.**

**მაშ, მიანიჭე სიხარული, სიამოვნება და ბედნიერება ადამიანებს, სპორტო!**

### VII. ო, სპორტო! ნაყოფიერება ხარ შენ!

**შენ წინ ეღობები გამანადგურებელ სენთ, უხსოვარი დროიდან რომ ემუქრებიან ადამიანებს.**

**შენ — შუამავალი ხარ.**

**შენ ურჩევ დავრდომილთ, სუსტებს, სნეულთ ყველაზე ძვირფას წამალს — საკუთარ თავს.**

**შენი ძლიერი, ჯანსაღი, ახოვანი, დაკუნთული, გამოწრთობილი, ავადმყოფობის დამძლევი მიმდევრების მაგალითზე შენ კურნავ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილთ.**

**შენ ადუღებ სისხლს. აიძულებ გულს, ცემდეს უფრო ძალუმად. კურნავ ავადმყოფებს. შენ წითელი სტრიქონებით წერიხარ „ჯანმრთელობის კოდექსში".**

**შენ ამტკიცებ: „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სულია!"**

### VIII. ო, სპორტო, პროგრესი ხარ შენ!

**შენ ხელს უწყობ ბუნების ულამაზესი ქმნილების — ადამიანის სრულყოფას.**

**შენ — წინმავალი ხარ.**

**შენ ბრძანებ დავიცვათ ჰიგიენის მოთხოვნები, შევიკავოთ თავი ზედმეტობისგან.**

**შენ ასწავლი ადამიანს მოიქცეს საკუთარი შეხედულებისა და რწმენის მიხედვით, შეგნებულად, ისე, რომ მისი არც ერთი უმაღლესი მიღწევა, არც ერთი რეკორდი არ იყოს გადამეტებული დაძაბვის შედეგი, არ მოქმედებდეს ჯანმრთელობაზე.**

**არავითარ სტიმულატორებს, გამარჯვების წყურვილისა და ჭკვიანური წვრთნის გარდა, არ სცნობ შენ.**

**შენ გვარწმუნებ, რომ პროგრესი ფიზიკური და პროგრესი ზნეობრივი — ესაა ერთი მიზნისაკენ მიმავალი ორი გზა!**

### IX. ო, სპორტო! მშვიდობა ხარ შენ!

**შენ ამყარებ კარგ, კეთილ, მეგობრულ ურთიერთობას ხალხთა შორის.**

**შენ შეთანხმება ხარ.**

**შენ აახლოებ ერთიანობის მხურველ ადამიანებს.**

**შენ ასწავლი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა ერის ახალგაზრდობას ურთმანეთის პატივისცემას.**

**შენა ხარ კეთილშობილი, მშვიდობიანი, მეგობრული შეჯიბრების სათავე.**

**შენ — ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედს, — აერთიანებ შენი მშვიდობიანი დროშების ქვეშ.**

**ო, სპორტო!**

**მშვიდობა ხარ შენ!**

---

საქართველოს მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობა მძლეოსნობაში

# კვლავ დაბალი შედეგებით

**15-18 ოქტომბერს** თბილისში, „დინამოს" სტადიონზე, ჩატარდა მოსწავლეთა რესპუბლიკური საშემოდგომო პირველობა, რომელმაც გვიჩვენა, რომ მოზრდილთა მსგავსად, არც ნორჩ მძლეოსნებს აქვთ საქმე კარგად: მათ ბევრ სახეობაში მეტად დაბალი შედეგები აჩვენეს. არადა, მომავალ წელს უნდა გაიმართოს მოსწავლეთა მე-17 საკავშირო სპარტაკიადა, რომლის შედეგები საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადის ჩათვლაში შევა, ასეთი მომზადებით კი ფონს ვერ გავალთ. ერთგვარ გასამართლებელ მიზეზად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ შემოდგომაზე, სეზონის მიწურულს, მძლეოსნების სპორტული ფორმა ქვეითდება. ასეა თუ ისე, ჩვენს მოსწავლეთა ნაკრების მწვრთნელებს და თვით მძლეოსნებს მეტად დიდი მუშაობა მართებთ იმისათვის, რომ მომავალ სპარტაკიადაზე თავი არ შეირცხვინონ.

განვლილ შეჯიბრებაში სულ რამდენიმე მძლეოსანმა შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი. შედარებით იმედისმომცემი იყო ვაჟ სპრინტერთა გამოსვლა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ხაშურელმა გ. გელაშვილმა და მახარაძელმა მ. კიკვაძემ, არც ჭიათურელი მ. გაფრინდაშვილის 400 მეტრზე თარჯრბენში ნაჩვენები დრო — 57,5 წამია ურიგო. გორელმა ლ. გასიტაშვილმა სიმაღლეზე ხტომაში 2 მ დასძლია და მთელი 15 სმ-ით აჯობა მეორე ადგილზე გასულ, თბილისელ ი. ზაბროვს. ყურადღება მიიპყრო თბილისელმა ი. ივანოვმა, რომელმაც ათჭიდში 5537 ქულას მოუყარა თავი.

შედარებით უარესად იასპარეზეს მტყორცნელებმა. უარესადო, იმიტომ ვამბობთ, რომ როგორც რესპუბლიკურ, ასევე მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებზე ისინი ყოველთვის წარმატებით ასპარეზობდნენ. როგორც მწვრთნელებმა შემოგვჩივლეს, მტყორცნელებს ერთი ხეირიანი ბაზაც კი არ ჰქონიათ სავარჯიშოდ.

საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენა მასობრიობით გამოირჩეოდა, მაგრამ სამწუხაროდ, რაოდენობა ხარისხში არ გადაზრდილა, ვერც ერთი ნორჩი მძლეოსანი მეორე თანრიგზე უკეთეს შედეგს ვერ შესწვდა.

ჩვენს მძლეოსან გოგონებს ტრადიციულად ჭაბუკებზე უარესი შედეგები აქვთ. ამჯერადაც, ძალიან ბევრმა მესამე თანრიგის ნორმატივიც კი ვერ შეასრულა. ასპარეზობის მონაწილეთა შორის ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა გარდაბნელ გოგონათა სამეული: მ. ლობჟანიძე, ნ. თევზაძე და ე. კინია (სპორტული სიარული 5 კილომეტრზე). სამივემ პირველი თანრიგის ნორმატვს გადააჭარბა, ხოლო ლობჟანიძეს (მან ყველაზე პერსპექტიული სპორტსმენისათვის განკუთვნილი პრიზი მიიღო) სულ ცოტა დააკლდა, რომ სპორტის ოსტატობის კანდიდატი გამხდარიყო.

ამ შეჯიბრებამ ერთი სასიამოვნო ფაქტიც ცხადყო: შედარებით გაიზარდა მძლეოსანთა გეოგრაფია. გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე თბილისის, ქუთაისის თუ აფხაზეთის წარმომადგენლებთან ერთად დუშეთის, თიანეთის, ჭიათურის და სხვა რაიონის სპორტსმენებსაც ნახავდით. ცალკე გვინდა აღვნიშნოთ მესტიელთა გამოსვლა. საქართველოს მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობაზე მათ თავი არაფრით გამოუჩენიათ, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა — მესტიაში ერთი სტადიონიც კი არ არის. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ მესტიის ბუნებრივი მდებარეობა (1600 მ ზღვის დონიდან) საშუალო და გრძელ მანძილზე მორბენალთათვის პირდაპირ მისწრებაა, არც განათლების სამინისტროს, არც პროფსაბჭოს სკოლას იქ ერთი მძლეოსნური ჯგუფიც კი არ გაუხსნიათ. ასპარეზობაში მონაწილეთა ამ მცირერიცხოვან რაზმს კი საკუთარი თაოსნობით, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ავარჯიშებს ახალგაზრდა მწვრთნელი მ. ფალიანი, რომელიც, ამავე დროს, მოთხილამურეთა მწვრთნელიცაა.

მოსწავლეთა საშემოდგომო შეჯიბრების შედეგების მიხედვით შეირჩა ნაკრები. აი, რა თქვა ამ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ზ. ჯარაშნელმა: — რადგან საკავშირო სპორტკომიტეტიდან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის დამტკიცებული დებულება ჯერ არ მიგვიღია, ამიტომ ჩვენს პერსპექტიულ გეგმებზე ვერაფერს გეტყვით, უახლოესი კი ასეთია: მალე გუნდის ერთი ნაწილი საწვრთნელ შეკრებაზე ლესელიძეში გაემგზავრება, მეორე კი ახალციხეში. სხვათა შორის, რესპუბლიკური სპორტკომიტეტის დახმარებით, ჩვენს მოსწავლე მძლეოსნებს კარგა ხნის შემდეგ პირველად ექნებათ საშუალება ლესელიძის შესანიშნავ ოლიმპიურ მომზადების ბაზაზე ივარჯიშონ. დეკემბერში კი კისლოვოდსკში ერთად შევიკრიბებით. გადაწყვეტილი გვაქვს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ზამთრის შეჯიბრებებში. გუნდში მივიწვიეთ ახალგაზრდა მწვრთნელები: გ. ხუფაცარია, ს. ნებაძე, ნ. ორფანოვი და სხვები, ისინი ნორჩ სპორტსმენთა გადამწყვეტი სტარტებისათვის მომზადებაში დაგვეხმარებიან.

ბ. ჩოჩიშვილი.

* * *





სურათებზე: ასპარეზობის მომენტები.

# უხეშობა ვნებს ფეხბურთს

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 23 ოქტომბერი.**

**„დინამო“ (თბილისი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:0.**

**„დინამო“: აბუსერიძე, კერესელიძე, ჩივაძე, უკლება, ჩიქოვანი, კაკილაშვილი, სვანაძე, გურული (ბარათაშვილი), გუცაევი, ცაავა, უვანია.**

**„მეტალისტი“: სივუხა, კაპლუნი, პოტოჩნიაკი, სუსლო, კამარზაევი, მოტუზი, ტკაჩენკო, სააკოვი (ბერნიკოვი), ლინკე, ტარასოვი (სვისტუნი), კრამარენკო.**

**მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).**

**გააფრთხილეს სააკოვი.**

ჰქონდა თუ არა საკავშირო ჩემპიონატის ამ მატჩს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა ხარკოვისა და თბილისის ფეხბურთელთათვის? რა თქმა უნდა, ჰქონდა! ორივე გუნდს, განსაკუთრებით თბილისელებს, ჩემპიონატის დამთავრებამდე საკმარისად აქვს ჩასატარებელი მატჩები, წარმატების შემთხვევაში როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს შეუძლია მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოს სატურნირო მდგომარეობა, საამისოდ კი, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო კონკრეტულად ამ თამაშის მოგება. ამიტომ როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები თავიდანვე შეუდგნენ თავგამოდებულ ბრძოლას.

დინამოელთა შესახებ ქვემოთ ვიტყვით, მაგრამ „მეტალისტის“ ფეხბურთელებმა ეს ბრძოლა იმით დაიწყეს, რომ უპირველეს ყოვლისა ხელი მიჰყვეს აშკარა, დაურიდებელ უხეშობას. ჯერ კიდევ მატჩის პირველ წუთებზე, გამოჩნდებოდნენ თუ არა დინამოელები ხარკოველთა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, უმალ ექცეოდნენ უმკაცრესი, ულმობელი „მეურვეობის“ ქვეშ. „მეტალისტის“ ფეხბურთელები უხეშობდნენ არა საერთოდ, უმიზნოდ, მთელ მოედანზე, არამედ კონკრეტულად მათ წინააღმდეგ, ვინც სახიფათო ვითარებაში იმყოფებოდა მათი კარის სიახლოვეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სტუმრებს თბილისში თუნდაც ქულის აღება ეწადათ და საამისოდ თავიდანვე მიმართეს „ტაქტიკური ჯარიმის“ ცნობილ მეთოდს. მათი უხეშობის უპირველესი ობიექტი იყო გუცაევი, რომელიც თავის ფლანგზე აშკარად სჯობდა ხარკოველთა მცველებს და სისტემატურად იმარჯვებდა ბრძოლაში. სტუმრებმა გუცაევის მიმართ აკრძალული ილეთი გამოიყენეს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მერე, როცა წინა პოზიციაზე გადაინაცვლა ცაავამ, ახლა მასზე მიიტანეს ასეთივე აკრძალული იერიში.

ასეთ პირობებში თამაში ძალიან გაჭირდა. დინამოელები კომბინაციების წამოწყების ფაზაშივე მკაცრი მარწუხებით იყვნენ შებორკილი, ამიტომ მათი ტაქტიკური მონახაზის მთლიანობა ხშირად ირღვეოდა, ერთიანი შეტევის ნაცვლად იერიშები მიმდინარეობდა წყვეტილად, ხშირად შეფერხებით, დაყოვნებებით. ხარკოველთაგან უცერემონიოდ უხეშობდნენ კაპლუნი, სუსლო, კამარზაევი, ტკაჩენკო, სააკოვი და სხვები.

რაღა თქმა უნდა, სრულიადაც არ დაგვაკმაყოფილა ხარკოვის „მეტალისტის“ უფროსი მწვრთნელის ე. ლემეშკოს მიერ მატჩისშემდეგ ინტერვიუში ნათქვამმა, რომ მისი ფეხბურთელები განზრახ კი არ უხეშობდნენ, არამედ ცუდად, შეცდომით ასრულებდნენ ბურთის წართმევის ილეთებს. ჩვენ სულ სხვაგვარად ვფიქრობთ: ისინი ამ ილეთებსაც ძალზე უხეიროდ ასრულებდნენ და ამავე დროს დაუფარავად, განზრახ უხეშობდნენ.

ვის ეკუთვნის პირველი სიტყვა მინდორზე მაშინ, როცა ასეთი, აშკარად არანორმალური პირობები იქმნება? რასაკვირველია — მსაჯს. გუშინწინდელი მატჩის არბიტრი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ჩვენს ფეხბურთში, გამოცდილება და ცოდნა მას არ აკლია, მაგრამ ამ დღეს ვ. ბუტენკომ რატომღაც დაივიწყა, რომ მსაჯს იმაზე გაცილებით მეტი უფლებები აქვს უხეშობასთან საბრძოლველად, ვიდრე მან ამ დღეს გამოიყენა. იგი უშუალოდ თამაშში შექმნილ რთულ სიტუაციებში საკმაოდ ზუსტად და კვალიფიციურად აღნიშნავდა ყველა სხვა მომენტს, მაგრამ ხარკოველთა წინასწარ განზრახული უხეშობის წინააღმდეგ თითქმის არაფერი მოიმოქმედა. უკვე პირველ თუ მეორე წუთზე დემონსტრაციულად დაარღვია წესი კაპლუნმა, რამდენიმე წუთის შემდეგ — სუსლომ, მერე — კამარზაევმა, ტკაჩენკომ, ვ. ბუტენკო კი პედანტურად აღნიშნავდა ამ დარღვევებს, საჩქაროდ მიირბენდა დარღვევის ადგილას და უშფოთველად ნიშნავდა საჯარიმოებს. მხოლოდ ერთხელ მოიძია მან ჯიბეში ყვითელი ბარათი სააკოვის დასასჯელად. ეს იყო და ეს. სხვა მკაცრი სანქციისთვის მას არ მიუმართავს.

არა და, დასანანია, საქმე მარტო ის კი არაა, რომ უხეშ მოწინააღმდეგესთან თბილისელებმა რიგიანად ვერ გამართეს თამაში და ქულა დაკარგეს შინ, უხეშობა, და ისიც ასეთი დაურიდებელი, აშკარად ვნებს ფეხბურთს, წონასწორობიდან გამოჰყავს მეტოქე ანერვიულებს ფეხბურთელებს, აღიზიანებს მაყურებლებს და ქმნის ე. წ. ანტიფეხბურთის ვითარებას. სულ ახლახან ტელევიზიით ვნახეთ ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩები და ცხადად დავრწმუნდით თუ როგორ აქტიურად, პრინციპულად ებრძვიან უხეშობას უცხოელი მსაჯები. ჩვენ კი, როგორც ჩანს, ამაშიც ჩამოვრჩებით.. ყოველ შემთხვევაში, ისეთი მაღალი კვალიფიკაციის არბიტრს, როგორიცაა ვ. ბუტენკო, გაცილებით მეტი მოეთხოვება.

არც ის გვინდა თბილისის დინამოელები უცოდველ კრავებად წარმოვუდგინოთ მკითხველს „მეტალისტთან“ შეხვედრაში. რამდენიმეჯერ მათაც დაურიდებლად დაარღვიეს წესი, მაგრამ უმთავრესად ეს იყო საპასუხო რეაქცია ხარკოველთა ექსცესებზე, როცა სტუმრების უხეშობა უკვე სისტემად გადაიზარდა. მათ რამდენიმეჯერ დაკარგეს წონასწორობა და საქმე თითქმის კონფლიქტამდეც მივიდა, მაინც, ვიმეორებთ, უხეშობის წამომწყებნი „მეტალისტის“ ფეხბურთელები იყვნენ და თბილისელებმაც ველარ შეძლეს თავიანთი ნერვების მოთოკვა.



თვით თამაშის შესახებ კარგს ვერაფერს ვიტყვით. დინამოელებმა ვერ მოუძებნეს გასაღები მეტოქის დაცვას, მათი თავდამსხმელები და ნახევარმცველები უმეტესად ინდივიდუალური თამაშით იყვნენ გართული და მაშინაც კი, როცა ბურთის გაუთავებელ ტარებას შედეგი არ მოჰქონდა, ისინი მაინც ჯიუტად განაგრძობდნენ „პერსონალური“ გზების ძიებას მეტოქის კარისკენ. დინამოელ ფეხბურთელთა უმეტესობამ საშუალო დონეზე ძლივს ჩაატარა მატჩი, გამონაკლისს, ჩვენი აზრით, წარმოადგენდნენ მხოლოდ ჩივაძე, გუცაევი და ცაავა. დანარჩენთა შესახებ შეგვიძლია ისა ვთქვათ, რომ კოლექტივიზმის აუცილებელ მოთხოვნებს ისინი ნკლებად ექვემდებარებიან.

ყველაფერი ამის გამო იყო. რომ მატჩი „დინამო“ (თბილისი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) სპორტული თვალსაზრისით უინტერესო და მდარე გამოდგა.

**ბ. ქორქია.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოსა“ და ხარკოვის „მეტალისტის“ შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.**

**ა. კოტორაშვილის ფოტო.**

• • •

## უმაღლესი ლიგა

**გასულ** კვირას გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული მატჩები:

**„ნისტრუ“ — „დნეპრი“ 0:1**

**„ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“ 2:1**

**„ფახთაქორი“ — ცსკა 1:0**

**„ზენიტი“ — „ტორპედო“ მ. 3:2**

**„ნეფთჩი“ — „დინამო“ კ. 2:0**

**„დინამო“ მ. — „ჟალგირისი“ 1:2**

• • •

გუშინ მოსკოვში გაიმართა ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ და მინსკის „დინამო“.

გაიმარჯვეს მინსკელებმა — 2:0.

## გათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

**მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 32 | 20 | 5 | 7 | 56-33 | 45 |
| „სპარ.“ | 32 | 17 | 9 | 6 | 54:21 | 43 |
| „დინ.“ მნ. | 32 | 15 | 9 | 8 | 47:33 | 39 |
| „ზენიტი“ | 32 | 14 | 11 | 7 | 41-30 | 38 |
| „ჟალგ.“ | 32 | 14 | 9 | 9 | 36-35 | 37 |
| „ტორპ.“ მ. | 32 | 13 | 10 | 9 | 39-34 | 36 |
| „შახტ.“ | 32 | 16 | 3 | 13 | 48-35 | 35 |
| „ჩერნომ.“ | 33 | 15 | 5 | 13 | 40-45 | 35 |
| „ფახთაქ.“ | 32 | 13 | 9 | 10 | 36-30 | 35 |
| „დინ.“ კ. | 32 | 12 | 10 | 10 | 39-34 | 34 |
| ცსკა | 32 | 10 | 12 | 10 | 35-31 | 30 |
| „მეტალ.“ | 32 | 11 | 7 | 14 | 37-40 | 29 |
| „ნეფთჩი“ | 32 | 10 | 9 | 13 | 31-36 | 29 |
| „არარ.“ | 32 | 11 | 6 | 15 | 29-44 | 28 |
| „დინ.“ თბ. | 31 | 8 | 9 | 14 | 40-46 | 25 |
| „დინ.“ მ. | 31 | 7 | 11 | 13 | 27-34 | 24 |
| „ტორპ.“ ქ. | 32 | 4 | 12 | 16 | 26-49 | 18 |
| „ნისტრუ“ | 32 | 3 | 4 | 26 | 18-69 | 10 |

გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 41-ე ტურის კალენდარული მატჩები.

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (კიროვი) 2:0 (2:0).**

**ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 22 ოქტომბერი.**

**„გურია“: იმნაძე, ლომინაძე, გოგოხია, ხურცილავა, ხომხიშვილი, ებანოიძე (ცნობილაძე), ვერულაშვილი, სანიკიძე, უგრელიძე (სულაბერიძე), ფრიდონიშვილი, აკოფიანი.**

**„დინამო“: კასიანი, კულიში, კურიცინი, კამზულინი, ისუპოვი, სტარიკოვი, ტოვმასიანი, ჩებანოვი, კოზლოვსკიხი (აბრამოვი), უსატოვი, კრივცოვი (ევდოკიმოვი).**

**მსაჯი გ. გომანი (მინსკი).**

**დუბლიორები — 5:3.**

ბოლო 2 ტურის შეხვედრები ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა სტუმრად კარგად ჩაატარეს და წარმატებით გადაჭრეს ლიგის სახიფათო ზონიდან თავის დაღწევის ძნელი პრობლემა, მაგრამ გათამაშება ჯერ არ დამთავრებულა, ლიგაში რამდენიმე ტური ჩასატარებელია, ამიტომ ახლა „გურიის“ წინაშე რეალურად წამოიჭრა ახალი ამოცანა: პირველ ათეულში მოხვედრა.

კიროვის დინამოელებთან თამაში მასპინძლებს არ გასჭირვებიათ. რამდენიმე სახიფათო იერიშის შემდეგ კიროველთა მხარეს დაინიშნა კუთხური, კარის წინ კარგად შეარჩია ადგილი უგრელიძემ და გახსნა ანგარიში.

ლანჩხუთელები კვლავ უტევდნენ, 25-ე წუთზე სანიკიძემ თავისი სწრაფი რეიდი მეორე გოლით დაამთავრა — 2:0.

შესვენების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები თამაშში არ მომხდარა, „გურია“ კვლავ უტევდა და სტუმრები რომ კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დამარცხებას გადაურჩნენ, უნდა უმადლოდნენ მეკარე კასიანის კარგ თამაშს.

**ა. ორმოცაძე.**

**(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.)**

• • •

**ალმა-ათის** „ქაირათმა“ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, გათამაშების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე, უკვე გაინაღდა უფლება მომავალ, 1984 წელს ითამაშოს უმაღლეს ლიგაში. ალმაათელმა ფეხბურთელებმა უფროსი მწვრთნელის ლ. ოსტროუშკოს ხელმძღვანელობით ძლიერად ჩაატარეს I ლიგის ტურნირი და დამსახურებულად გაუსწრეს მეტოქეებს.

მეორე საგზურის მოპოვების რეალური შესაძლებლობა აქვს დონის როსტოვის არმიელთა გუნდს, მაგრამ საამისოდ მან დარჩენილ 3 ტურში აუცილებლად უნდა მოიპოვოს ერთი გამარჯვება მაინც. არმიელებს შესრულებული აქვთ ფრეთა ლიმიტი, ამიტომ თოთო ქულა მათ აღარ დაეწერებათ. როსტოველებმა შინ უნდა მიიღონ კიროვის „დინამო“, შემდეგ კი სტუმრად ითამაშონ კემეროვოში „კუზბასთან“ და მოსკოვში — „ლოკომოტივთან“.

• • •

ტურის სხვა შედეგები: ასკ (ხაბაროვსკი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:1, „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1, „პამირი“ (დუშანბე) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 3:1, „ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 5:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დნეპრი“ (მოგილიოვი) 1:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 1:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დაუგავა“ (რიგა) 4:2, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — ასკ-„კარპატი“ (ლვოვი) 3:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:1.

## I ლიგა

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ქაირათი“ | 40 | 24 | 10 | 6 | 76-34 | 58 |
| ასკ რ. | 39 | 22 | 12 | 5 | 69-33 | 56 |
| „ფაკელი“ | 39 | 19 | 12 | 8 | 47-27 | 50 |
| „როტორი“ | 39 | 22 | 5 | 12 | 56-41 | 49 |
| „მეტალ.“ | 39 | 19 | 8 | 12 | 63-44 | 46 |
| „კოლოსი“ | 39 | 17 | 12 | 10 | 67-47 | 46 |
| „ტავრია“ | 40 | 16 | 11 | 13 | 78-66 | 43 |
| „ყუბანი“ | 40 | 15 | 11 | 14 | 57-47 | 41 |
| ასკ „კარ.“ | 39 | 14 | 12 | 13 | 42-44 | 40 |
| „გურია“ | 39 | 17 | 4 | 18 | 49-69 | 38 |
| „ზარია“ | 39 | 14 | 10 | 15 | 62-59 | 38 |
| „კუზბ.“ | 39 | 13 | 13 | 13 | 47-47 | 38 |
| „პამირი“ | 39 | 13 | 10 | 16 | 44-54 | 36 |
| „ლოკომ.“ | 39 | 12 | 12 | 15 | 49-45 | 36 |
| „დაუგ.“ | 39 | 13 | 9 | 17 | 56-62 | 35 |
| „ისკრა“ | 39 | 13 | 8 | 18 | 46-42 | 34 |
| „ზვეზდა“ | 39 | 11 | 12 | 16 | 55-58 | 34 |
| ასკ ხ. | 40 | 11 | 12 | 17 | 31-52 | 34 |
| „შინიკი“ | 39 | 11 | 11 | 17 | 39-71 | 33 |
| „დნეპრი“ | 39 | 10 | 13 | 16 | 36-58 | 32 |
| „ტექსტ.“ | 39 | 6 | 10 | 23 | 37-76 | 22 |
| „დინამო“ | 39 | 5 | 11 | 23 | 28-58 | 21 |

# პირველი მატჩი...

**23 ოქტომბერს** დაიწყო II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ჯგუფური ტურნირები. ბათუმის „დინამოს“ პირველი შეხვედრა კუიბიშევში ჰქონდა ადგილობრივ „კრილია სოვეტოვთან“.

კუიბიშევის „მეტალურგის“ სტადიონზე 25 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი, თამაში მიმდინარეობდა კარგ მინდორზე, მზიან ამინდში.

დაახლოებით 15 წუთი რამდენადმე მაინც შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონია, შემდეგ ბათუმელ ჩელებაძეს შეექმნა ანგარიშის გახსნის საუკეთესო შესაძლებლობა, მაგრამ მას ბოლო წამს მიუსწრეს მცველებმა. თავიანთ მხრივ აქტიურად თამაშობდნენ კუიბიშეველი ფეხბურთელები ვალიევი, რაზვიევი.

ტაიმის დასასრულს სტუმრებს კვლავ ჰქონდათ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, მეკარე ფედოტოვმა მოიგერია ჩელებაძისა და გორგილაძის ძლიერად დარტყმული ბურთები.

მატჩის ბედი გადაწყდა 68-ე წუთზე, როცა კუიბიშეველმა რატენკომ კარგად გამოიყენა ბაბანოვის გადაცემა და გაიტანა ერთადერთი ბურთი — 1:0.

დინამოელებს ამის შემდეგ კვლავ ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ვერ შეძლეს მათი გამოყენება. გუნდმა პირველი შეხვედრა წააგო, მაგრამ ენერგიულად, მონდომებით ითამაშა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე.

პირველი მატჩი ბათუმის „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: მამინაშვილი, წუწუნავა, კაკაბაძე, სვიმონიშვილი, გოგიტიძე, ძაგანია, თოფურია, ატუაშვილი (კედელაძე), შაკიროვი, გორგილაძე, ჩელებაძე, შეხვედრა იმსაჯა მოსკოვის ბრიგადამ ა. კადეტოვის მეთაურობით.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## მოკლედ

**საგარეო** გუნდების მეტოქეებმა ევროპის საკლუბო ტურნირებზე, თავიანთ ქვეყნებში გამართეს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები. ბირმინგემის „ასტონ ვილამ“, რომელიც მოსკოვის „სპარტაკს“ უნდა შეხვდეს უეფა-ს თასზე, ინგლისის ჩემპიონატის X ტურში ფრედ ითამაშა „ვულვერჰემპტონთან“ — 1:1. ახლა აქ 22 ქულით ლიდერობს „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ასტონ ვილას“ სხვა 5 კლუბთან ერთად 17-17 ქულა აქვს.

ჟენევის „სერვეტმა“, რომელიც დონეცკის „შახტიორს“ ეთამაშება თავის მინდორზე თასების მფლობელთა თასზე, ფრედ ითამაშა „ვეტინგენთან“ და 11 ტურის შემდეგ 14 ქულით მეხუთე ადგილზე იმყოფება. 18 ქულით ლიდერობს „სიონი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

## ლიდერები შეიცვალნენ

**ტილბურგის** (ჰოლანდია) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირზე დამთავრდა გადადებული პარტიები.

ა. კარპოვმა მოუგო ჰ. ვან დერ ვილს. ორი ქულა ჩაიწერა აქტივში ლ. პორტიშმა, რომელმაც ვან დერ ვილი და რ. ჰიუბნერი დაამარცხა.

რ. ვაჰანიანმა მოუგო ბ. სპასკის და დაუზავდა ლ. ლიუბოევიჩს.

8 ტურის შემდეგ 5-5 ქულით ლიდერობენ ა. კარპოვი და ლ. პორტიში (უნგრეთი). ლ. პოლუგაევსკის 4,5 ქულა აქვს, რ. ვაჰანიანსა და ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) — 4-4.

IX ტურში კარპოვმა დაამარცხა ი. სეირავანი, ლიუბოევიჩმა — პოლუგაევსკი. ყაიმზე შეთანხმდნენ უ. ანდერსონი და ბ. სპასკი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

9 ტურის შემდეგ ა. კარპოვს 6 ქულა აქვს, ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) — 5,5, ლ. პორტიშს (უნგრეთი) — 5 (1), რ. ვაჰანიანს — 4,5 (1), ლ. პოლუგაევსკის — 4,5, ბ. სპასკის — 4.

## გაიმარჯვა ნიკოლაიშვილმა

**ჭადრაკის** სასახლეში დამთავრდა ვეტერან მოჭადრაკეთა ტურნირი თბილისის სპორტკომიტეტის პრიზზე, რომელიც (გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში 14 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა ა. ნიკოლაიშვილმა — 11 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა ო. თურქესტანიშვილმა და დ. ლომიძემ —9,5-9,5. კოეფიციენტთა ცხრილით მეორეა თურქესტანიშვილი.

ტურნირის საზეიმო დახურვის დღეს (30 ოქტომბერს, 20 ს.) ვეტერანთა ელვისებურ თამაშში (თითოეულ პარტიაზე მიეცემა ხუთი წუთი) მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

**გ. ფამილიანტი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## მოჭადრაკეები რეგბის სამშობლოდან

**მოსკოვში,** სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში სამ დღეს გაგრძელდა „ბურევესტნიკისა“ და „რაგბის“ (ინგლისი) გუნდების შეხვედრა. ეს გახლდათ საკლუბო გუნდების ევროპის თასის IV გათამაშების მერვედფინალური მატჩი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინგლისის კლუბი 1877 წელს პატარა ქალაქის რაგბის საჭადრაკო მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა. სწორედ ამ ქალაქში წარმოიშვა თამაში, რომელსაც ჩვენში რეგბის უწოდებენ. „რაგბის“ კლუბმა აჯობა ინგლისის საჭადრაკო ცენტრებს — კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებს.

ძლიერად ითამაშეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა. პირველი მატჩი მოიგეს ანგარიშით 5:1, მეორე — 5,5:0,5 და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისელმა დიდოსტატმა თამაზ გიორგაძემ, რომელმაც ორივე პარტია მოუგო ინგლისელ ოსტატ ტ. ტურნერს.



ალმაფრენა.

## პანორამა

● **ხელბურთი**

**საფრანგეთის** ქალაქ ნანტში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალურ მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს გდრ-ის გუნდი — 22:17 და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

● **ფრენბურთი**

**იაპონიაში** ტურნეს მართავს სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები. 4 გამარჯვების შემდეგ სტუმართა გუნდმა მეხუთე მატჩი გამართა ქალაქ საპოროში ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან. ამჯერად საბჭოთა ფრენბურთელები დამარცხდნენ 0:3 (13:15, 12:15, 11:15).

## ანოკ-ი მოუწოდებს

**პარიზი.** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასოციაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა (ანოკ) მოწოდებით მიმართა ოლიმპიადა-84-ის საორგანიზაციო კომიტეტს, უზრუნველყოს ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ყველა ათლეტის (მიუხედავად რასისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკური მრწამსისა) სრული უსაფრთხოება და მეგობრული მიღება.

ანოკ-ის აღმასკომის აქ გამართულ სხდომის კომუნიკეში ამ მიმართვის ჩართვა გამოიწვია იმან, რომ იმ ქალაქების ხელისუფალნი, სადაც სპორტსმენები უნდა დაბინაონ, ცდილობენ ოლიმპიადის მონაწილეებს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ათლეტებს დაბრკოლებანი შეუქმნან. ამჟამინდელი რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში, — ნათქვამია კომუნიკეში, — ოლიმპიური თამაშების — სამყაროს ყველა ნაწილის ახალგაზრდობის უდიდესი სპორტული ფორუმის ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ოლიმპიურ მოძრაობას უდიდესი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირი განუხრელად და თანამიმდევრულად იცავს ოლიმპიური ქარტიის პრინციპებს და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებებს. ამის საუკეთესო დადასტურება იყო მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრწყინვალე ორგანიზაცია, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ანოკ-ის პრეზიდენტმა მარიო ვასკეს რანიამ. — ჩვენ შესანიშნავად გვაქვს შეგნებული თუ რა წვლილი შეიტანეს სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებმა მსოფლიო სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში.

ლოს-ანჯელესის ოლიმპიადისთვის მზადება ანოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის დიდ შეშფოთებას იწვევს, — აღნიშნა რანიამ. — ეს თამაშები ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული იქნება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი იძულებული გახდა დამატებით 50 მილიონი დოლარი გამოეყო ოლიმპიადაში განვითარებადი ქვეყნების ათლეტთა მონაწილეობისთვის, მაგრამ ეს არ კმარა ყველა ხარჯის დასაფარავად.

ითვალისწინებს რა ბევრი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის კრიტიკულ გამოსვლებს, ანოკ-ს გადაწყვეტილი აქვს თამაშების ორგანიზატორებს მოსთხოვოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისთვის ბილეთების განაწილების პრინციპის გადასინჯვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ანოკ-ს აწუხებს, არის სპორტსმენთა დაბინავება ოლიმპიურ სოფლებში და მათი გადაყვანა შეჯიბრების ადგილებამდე. ანოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის აზრით, გადაყვან-გადმოყვანა ბევრ დროს მოითხოვს და მოქანცავს ოლიმპიელებს.

ანოკ-ის ამ კრიტიკულ გამოსვლას, — განაცხადა მ. ვ. რანიამ, — იზიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომლის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ესწრებოდა ანოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას.

(საკდესი).

## თბილისელთა უპირატესობით

**ამასწინათ** ქუთაისში გაიმართა 14-15 წლის გოგონათა და ჭაბუკთა საქართველოს საშემოდგომო პირველობა ხელბურთში. შეჯიბრებაში მასპინძელ მოზარდებთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, თელავის, ფოთის, სამტრედიისა და წყალტუბოს სპორტსმენები. ტურნირის ძირითადი მიზანი იყო პერსპექტიული სპორტსმენების შერჩევა რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდებისათვის.

გამარჯვებულის სახელის მოსაპოვებლად გადამწყვეტ მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ქუთაისის გუნდები. როგორც ჭაბუკთა (მწვრთნელი რ. ჭანტურია), ისე გოგონათა (მწვრთნელები ა. ავაკიმოვი და თ. ჩხაიძე) შორის გაიმარჯვეს თბილისელებმა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ჭაბუკებში აჭარელმა ხელბურთელებმა სძლიეს სამტრედიელებს, გოგონებში კი სამტრედიელებმა — წყალტუბოელებს.

ტურნირზე საინტერესო პერსპექტიულ მოთამაშეებად წარმოგვიდგნენ: ჭაბუკები მ. მჟავანაძე, გ. გაბარაევი, ე. პაპასკირი, ზ. იმნაიშვილი, გ. ვახტანგიშვილი, დ. ღონღაძე, ო. კერძაია (თბილისი), გ. ფუთურიძე, დ. შარაშენიძე (ქუთაისი), მ. ფირცხალაიშვილი (აჭარა), ვ. კიკაჩეიშვილი (სამტრედია), გოგონები მ. მაჭავარიანი, ი. კახუაშვილი, ი. კაკაულინა, ე. ხალიმოვსკაია, ა. ლიმარენკო (თბილისი), ლ. მანაგაძე, ნ. შარვაშიძე (ქუთაისი), ი. ზარნაძე, ნ. კვერნაძე (სამტრედია), ლ. დევიძე (წყალტუბო).

**ჯ. ნიკურაძე,**
**სპორტის ოსტატი, განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ხელბურთში.**

**სურათებზე:** ტურნირში გამარჯვებული თბილისელ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდები.

ა. ბერძენიშვილის ფოტო.





## კალეიდოსკოპი

**საქორწინო სეზონი**

საფრანგეთის სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა შეამციროს უცხოელ კალათბურთელთა რაოდენობა საფრანგეთის კლუბებში. ასე არ უნდაო, და კლუბების ხელმძღვანელებმაც გამოსავალი გამონახეს. ახლა უცხოელი კალათბურთელები სასწრაფოდ ქორწინდებიან ფრანგ ქალებზე და ამრიგად, „ნატურალურ“ ფრანგებად ქცეულთ ხელს ვერავინ უშლით საფრანგეთის კლუბებში ითამაშონ.

**ცოლს პატივი ეცი**

კენტის საგრაფოს (ინგლისი) ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მატჩი მიმდინარეობდა. მინდორზე წესრიგი თითქოს არავის დაურღვევია, მაგრამ ფრედ რეტიუმ მაინც წითელი ბარათი მიიღო. რატომ? თურმე მას ტრიბუნაზე ცოლი დაუნახავს, რომელიც ხელის ქნევით ანიშნებდა, რომ მისი თამაშით უკმაყოფილო იყო. რეტიუმ ცოლს გაწყრომით შესძახა: „აქაც არ დამანებებ თავს, შე წყეულო!“ და... მინდორიც ამიტომ დაატოვებინეს.

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე — 07874